განმარტებითი ბარათი

ნაგებობის ფასადი შეიცვალა თქვენი მითითებისამებრ და დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად. ნაგებობას ფასადზე სასურველია ქონდეს განიერი კარებები საიდანაც მოხდება ტვირთის შეტანა და გამოტანა მიკროავტობუსის ტიპის სატვირთოთი, რადგან ნაგებობის უმეტესი ნაწილი არის საწყობი, ხოლო მაღაზიას მცირედი ადგილი უჭირავს. ნაგებობაში უნდა მოხდეს ავტოსათადარიგო ნაწილების მიღება, დასაწყობება და აქედან ქალაქში მისი დისტრიბუცია. თუმცა მთავარ დარბაზში იქნება დახლი საიდანაც მოხდება ავტონაწილების ცალობაში გაყიდვაც.

ფასადზე განვათავსეთ ვიტრინები სადაც მოხდება პროდუქციის გამოფენა (ინტერიერის მხრიდან). ნაგებობას აქვს ანტრესოლი, სადაც განთავსდება ოფისი. იმუშავებს რამდენიმე ადამიანი რომლების აწარმოებენ პროდუქციის აღრიცხვას და ბუღალტერიას.

ნაგებობა იქნება მსუბუქი კონსტრუქციის (პავილიონის ტიპის), რომლის მზიდი კარკასი იქნება ძირითადად ლითონის მილკვადრატები. ფასადები მოპირკეთდება მინამაგნეზიტის ფილებით და შეიღებება. ბრეთვე განთავსდება მეტალოპლასტმასის ფანჯრები და რკინის კარებები.

შევასრულეთ თქვენი რჩევა და მოვითხოვეთ Ar1169114 განცხადების განუხილველად დატოვება. გთხოვთ განცხადება Ar1169114 -ისთვის გადახდილი მოშენების ფართის მოსაკრებელის თანხა რომელიც შეადგენს 275 ლარს - განსაზღვროთ ამ განცხადებისთვის

პატივისცემით: გიორგი ლოთიშვილი (არქიტექტორი)